SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი

1. ზოგადი მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მიმართ

სადისერტაციო ნაშრომის მომზადება სადოქტორო პროგრამის უმნიშვნელოვანესი საფეხურია, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისაკენ მივყავართ. სადისერტაციო ნაშრომი საშუალებას აძლევს დისერტანტს წარადგინოს სადისერტაციო კვლევის პროცესში შექმნილი ახალი ცოდნა და გამოავლინოს თავისი სამეცნიერო კომპეტენციები, კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები.

სამეცნიერო სიახლე სადისერტაციო ნაშრომის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. დისერტანტმა თავისი სადისერტაციო კვლევით რეალური წვლილი უნდა შეიტანოს სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტაში.

სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს გასაგებად დაწერილი. ნაშრომს უნდა ჰქონდეს ლოგიკური სტრუქტურა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კვლევის შედეგად მიღებულ ახალ ცოდნას, ხელს შეუწყობს მისი სამეცნიერო მნიშვნელობის შეფასებას და დისერტანტის მიერ წარმოდგენილი მეცნიერული მსჯელობის ლოგიკურობის დადგენას.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სადისერტაციო ნაშრომებისათვის რეკომენდებულია შემდეგი სტრუქტურა:

- თავფურცელი
- ავტორის დეკლარაცია
- აბსტრაქტი
- მადლიერების გვერდი (სურვილისამებრ)
- სარჩევი
- ცხრილების სია
- გრაფიკების სია
- ფოტოების სია
- აბრევიატურების სია
- დისერტაციის თავები (ძირითადი ტექსტი):
  - შესავალი
  - ლიტერატურის მიმოხილვა
  - კვლევის დიზაინი და მეთოდები
  - კვლევის შედეგები და მათი განხილვა
  - დასკვნა
- ბიბლიოგრაფია
- დანართები

სადისერტაციო ნაშრომის თავები წარმოადგენს მის ძირითად კომპონენტებს (ძირითად ტექსტს), რომლებშიც, თემატური დაყოფის შემთხვევაში, შეიძლება ქვეთავები და უფრო მცირე ქვედანაყოფები გამოიყოს. დისერტაციის ტექსტს წინ უძღვის სპეციალური გვერდები (თავფურცელი, ავტორის დეკლარაცია, აბსტრაქტი, სარჩევი და სხვა), რომელთა ფორმატირების წესები შეიძლება განსხვავდებოდეს სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტის ფორმატირების წესებისაგან.

2. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირების ზოგადი წესები

2.1. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი

<u>გვერდის ზომები</u>

- ფურცლის ზომა: A4
- ტექსტის დაშორება ფურცლის კიდეებიდან:
  - მარცხენა (ველი) - 3 სმ
  - ზედა - 2 სმ; ქვედა- 2 სმ მარჯვენა - 1.5 სმ

<u>ტექსტის განლაგება</u>

- ძირითადი ტექსტი - უნდა გასწორდეს მარცხენა და მარჯვენა საზღვრების გასწვრივ;
- თავების და ქვეთავების სათაურები - არ სჭირდება ცენტრირება, იწყება მარცხენა მხრიდან (ველიდან);
- თვალსაჩინოებები და მათი სათაურები - ცენტრირებული.

<u>შრიფტი</u>

- UNI Code შრიფტები: Sylfaen ან Calibri; ზომა - 12.

<u>დაშორება სტრიქონებს შორის</u>

- ინტერვალი ტექსტის სტრიქონებს შორის - 1.5;
- 1.0-იანი ინტერვალი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:
  - სათაურებში, რომელთა სიგრძე აღემატება ერთ სტრიქონს;
  - ბიბლიოგრაფიაში;
  - ილუსტრაციის სათაურსა და ახსნა-განმარტებით ტექსტში (ლეგენდა/legenda);
  - პირდაპირი ციტირების შემთხვევაში, რომელიც ცალკე აბზაცითაა წარმოდგენილი;
  - შენიშვნებში;
  - ჩამონათვალის ტექსტში.

<u>პარაგრაფი</u>

შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ორი სტილიდან ერთ–ერთის გამოყენება:

- აბზაცი 1.25 სმ, პარაგრაფებს შორის სტრიქონი არ არის გამოტოვებული

<u>*ან*</u>

- აბზაცი არ არის დაცული, მაგრამ პარაგრაფებს შორის ერთი სტრიქონია გამოტოვებული *(ამ დოკუმენტში ეს სტილია გამოყენებული).*

<u>გვერდის ნომერი</u>

- გვერდის ნომერი იბეჭდება ფურცლის ქვედა ნაწილში მარჯვენა მხარეს;
- ძირითადი ტექსტის დაწყებამდე, ყველა გვერდი (ავტორის დეკლარაცია, აბსტრაქტი, მადლიერების გვერდი, თვალსაჩინო მასალების სია, აბრევიატურების სია) ინომრება რომაული ციფრებით (მაგ.: i, ii, iii, iv და ა.შ.).
- ძირითადი ტექსტის შესავალი და ყველა მომდევნო ნაწილი, ბიბლიოგრაფიისა და დანართის ჩათვლით, ინომრება არაბული ციფრებით (მაგ.: 1, 2, 3 და ა.შ.).

<u>ძირითადი ტექსტის დასათაურება</u>
თავები უნდა დაინომროს არაბული ციფრებით (დასათაურების პირველი დონე). მაგ.:

1. შესავალი
2. ლიტერატურის მიმოხილვა
3. კვლევის დიზაინი და მეთოდები
   და ა.შ.

ქვეთავები უნდა დაინომროს თავების მიხედვით, მაგ.:

3. კვლევის დიზაინი და მეთოდები
3.1 სამეცნიერო ჰიპოთეზა
3.2 ექსპერიმენტის სქემა
3.3 მონაცემების შეგროვება
3.4 მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
3.4.1 დისპერსიული ანალიზი და
ა.შ.

ყველა თავი უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის სათაური და ტექსტი უნდა დაცილებული იყოს ერთმანეთს ერთი სტრიქონით. ქვეთავის სათაური უნდა დაცილებული იყოს როგორც წინა, ასევე მომდევნო ტექსტს ერთი სტრიქონით. თავისა და ქვეთავის სათაურების ერთმანეთისგან დაშორება არ არის აუცილებელი.

2.2 თვალსაჩინო მასალის განლაგება და დანომვრა

თვალსაჩინო მასალა მოიცავს: ცხრილებს, გრაფიკებს, ფოტოებს და სხვას. მცირე ზომის ილუსტრაციისათვის დასაშვებია გვერდზე განთავსების ორი წესი. ამ ორიდან აირჩიეთ და გამოიყენეთ მხოლოდ ერთი-ერთი:

- თვალსაჩინო მასალა უნდა განლაგდეს რაც შეიძლება ახლოს, მისი პირველად ხსენების ადგილიდან

<u>*ან*</u>

- თვალსაჩინო მასალა უნდა განლაგდეს იმ თავის ბოლოს (თავის ტექსტის დასრულების შემდეგ), სადაც მას პირველად იხსენიებს ავტორი.

დიდი ზომის თვალსაჩინო მასალა შეიძლება განლაგდეს ცალკე გვერდზე ძირითად ტექსტში, მისი პირველად ხსენების ადგილთან ახლოს ან დანართში.

თითოეულ თვალსაჩინო მასალას უნდა ჰქონდეს ნომერი და სათაური. დანომვრა უნდა გასდევდეს დისერტაციის მთელ ტექსტს. ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები ინომრება ცალ-ცალკე, მაგალითად:

- ფოტო 1: საქართველოს ნიადაგების რუკა
- გრაფიკი 1: ხორბლის მოსავლიანობის დამოკიდებულება სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობაზე
- ცხრილი 1: დისპერსიის ანალიზის შეჯამება

3. ტექსტის წინა გვერდების ფორმატირების განსაკუთრებული მოთხოვნები

3.1 <u>თავფურცელი</u>

სადისერტაციო ნაშრომის თავფურცელზე უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- სადისერტაციო ნაშრომის სათაური;
- დისერტანტის სახელი და გვარი;
- ტექსტი მაგალითისათვის: *"სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის <u>აგრარული მეცნიერებების</u> სადისერტაციო საბჭოზე <u>ვეტერინარიის</u> დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად"*;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი;
- უნივერსიტეტის სახელწოდება (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი);
- ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი.

თავფურცლის ფორმატირება:

- ტექსტი უნდა იყოს ცენტრირებული;
- სადისერტაციო ნაშრომის სათაური და სტუდენტის სახელი და გვარი - გამუქებული (bold) შრიფტით;
- სტანდარტული ტექსტი სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შესახებ - დახრილი შრიფტით.

ქართულენოვანი თავფურცელის შემდეგ უნდა იყოს წარმოდგენილი იდენტური თავფურცელი ინგლისურ ენაზე.

სადისერტაციო ნაშრომის სათაური

დისერტანტის სახელი და გვარი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
აგრარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოზე
ვეტერინარიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

3.2. ავტორის დეკლარაცია

ავტორის დეკლარაცია წარმოადგენს დისერტანტის განაცხადს მის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის/აკადემიური თაღლითობის არარსებობის შესახებ.

ავტორის დეკლარაცია

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს უნიკალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების წესების სათანადო დაცვით.

სახელი, გვარი (ხელმოწერა)

თარიღი:

3.3. აბსტრაქტი

აბსტრაქტი სადისერტაციო თემის აქტუალურობის, გამოყენებული მეთოდების, შედეგებისა და დასკვნების მოკლე შინაარსია. მასში არ გამოიყენება ციტირებები და საილუსტრაციო მასალა. ის იწერება ცალკე გვერდზე ორ ვერსიად: ქართულად და ინგლისურად. აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 800 სიტყვას. მიღებულია აბსტრაქტში წყაროების მითითება. მის ქვემოთ უნდა იყოს მოცემული მინიმუმ სამი, მაქსიმუმ ხუთი საძიებო სიტყვა.

აბსტრაქტისა და სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის ადეკვატურობას ხელმოწერით ადასტურებს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

აბსტრაქტი

_____
_____
_____
_____
_____

საძიებო სიტყვები: 1. ..... , 2. ..... , 3. .....

Abstract

_____
_____
_____
_____
_____

Key Words: 1. ..... , 2. ..... , 3. .....

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი და გვარი /ხელმოწერა/

3.4. მადლიერების გვერდი

მადლიერების გვერდზე დისერტანტს საშუალება ეძლევა მადლობა გადაუხადოს და აღნიშნოს ყველას წვლილი, ვინც მონაწილეობა მიიღო მის მიერ შესრულებულ კვლევაში ან ხელი შეუწყო ამ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას, მათ შორის, დისერტაციის ხელმძღვანელ(ებ)ს, უნივერსიტეტსს, ოჯახის წევრებს და სხვა.

3.5. სარჩევი

სარჩევში ჩამოთვლილია დისერტაციის ყველა ნაწილი, თავი და ქვეთავი მათი თანმიმდევრობის შესაბამისად და გვერდის ჩვენებით. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ძირითადი ტექსტის დაწყებამდე, ყველა გვერდი (ავტორის დეკლარაცია, აბსტრაქტი, მადლიერების გვერდი, თვალსაჩინო მასალების სია, აბრევიატურების სია) ინომრება რომაული ციფრებით (მაგ.: i, ii, iii, iv და ა.შ.). ძირითადი ტექსტის შესავალი და ყველა მომდევნო ნაწილი, ბიბლიოგრაფიისა და დანართის ჩათვლით, ინომრება არაბული ციფრებით (მაგ.: 1, 2, 3 და ა.შ.).

ძირითადი ტექსტის შესავლის ნუმერაცია გრძელდება რომაული ნუმერაციის დასრულებიდან.

მაგალითისათვის:

ცხრილების სია …….. vi
გრაფიკების სია ……. vii
ფოტოების სია……. viii
აბრივიატურების სია …….. ix
შესავალი……10

3.6. ცხრილების, გრაფიკებისა და ფოტოების ცალკეული სარჩევი

თავებისა და ქვეთავების სარჩევის შემდეგ მოდის თვალსაჩინო მასალის სრული ჩამონათვალი. ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები და სხვა თვალსაჩინო მასალები ცალ-ცალკე სიებად და სხვადასხვა გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი. სიაში უნდა მიეთითოს თვალსაჩინო მასალის ნომერი, სათაური და შესაბამისი გვერდის ნომერი.

ცხრილები

1: სათაური.....25
2: სათაური.....31
3: სათაური.....33

გრაფიკები

1: სათაური.....27
2: სათაური.....41
3: სათაური.....77

ფოტოები

1: სათაური 12
2: სათაური 15
3: სათაური 87

3.7.აბრევიატურების სია

თუ ნაშრომში გამოყენებულია აბრევიატურები, მათი სია და განმარტებები უნდა მოსდევდეს თვალსაჩინო მასალის სია, ძირითადი ტექსტის დაწყებამდე, მაგალითად:

- პჯრ - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია.

ტექსტში დასაშვებია ინგლისური აბრევიატურების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში ის ინგლისურად და ქართულად უნდა იყოს განმარტებული, მაგალითად:

- SNP – Single Nucleotide Polymorphism, ერთეული ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი.

4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტის თავები

4.1. შესავალი

შესავალი უნდა იყოს მოკლე და ლოგიკურად შეკრული, რადგან პირველ რიგში სწორედ მას ეცნობა მკითხველი. სადისერტაციო ნაშრომის შესავალი იწყება, როგორც წესი, საკვლევი პრობლემის განხილვით, მისი თეორიული საფუძვლებისა ან/და ისტორიული რაკურსის მოკლედ წარმოჩენით. ავტორმა ნათლად უნდა წარმოადგინოს საკვლევი პრობლემა/თემა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს კვლევის ჰიპოთეზა, მიზანი და ამოცანები. აგრეთვე, მან უნდა მიუთითოს კვლევის აქტუალურობაზე და მოკლედ გადმოსცეს დისერტაციის სტრუქტურისა და დანარჩენი თავების არსის შესახებ. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

4.2. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი თემის ირგვლივ გამოქვეყნებული სტატიების, წიგნების, მონოგრაფიების, კონფერენციის მასალების, სადისერტაციო ნაშრომებისა და სხვათა მიმოხილვაა. ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოუქვეყნებელი მასალები, მაგ., დასაბეჭდად მომზადებული სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები, და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ დისერტანტმა მიმოიხილოს უახლესი ლიტერატურა და/ან მიღწევები, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის საკითხზე თანამედროვე ცოდნის წარმოჩენას, კვლევის სიახლისა და აქტუალურობის დადასტურებას.

ლიტერატურის მიმოხილვაში მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს, თუ რატომ მუშაობენ სხვა მეცნიერები ამ თემაზე, რა მიდგომები და მეთოდები გამოიყენეს და რა შედეგებს მიაღწიეს მათ საკითხების კვლევისას. ამ კონტექსტში უნდა გამოიკვეთოს დისერტანტის მიერ შესრულებული კვლევის თეორიული საფუძველი, პრაქტიკული მნიშვნელობა და სიახლე.

ლიტერატურის მიმოხილვა დისერტანტს აძლევს საშუალებას წარმოაჩინოს თავისი მეცნიერული ერუდიცია და კრიტიკული ანალიზის უნარი. მან უნდა შეძლოს თავისი თემის ირგვლივ სხვა მეცნიერებების სამეცნიერო არგუმენტების კრიტიკული გაანალიზება და ამ არგუმენტების გამოყენება თავისი სამეცნიერო კვლევის აქტუალობისა და მეთოდოლოგიური მიდგომის სისწორის დასასაბუთებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა უნდა იყოს გასაგებად დაწერილი, მწყობრი და მასში განხილული დებულებები ლოგიკურად უნდა მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ლიტერატურის მიმოხილვა არ უნდა შეიცავდეს დაუსაბუთებელ დებულებებს ან არგუმენტებს. ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 1/3-ს.

4.3. კვლევის დიზაინი და მეთოდები

ნაშრომის ამ თავში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი კვლევის ობიექტი, პროცედურები, კონცეპტუალური ინსტრუმენტები, მონაცემები და მათი შეგროვებისა და ანალიზის (თვისებრივი თუ რაოდენობრივი) მეთოდები. მეთოდოლოგიურ ნაწილში, დოქტორანტის მთავარი ამოცანაა, დაასაბუთოს რომ მის მიერ არჩეული კვლევის გზა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები, მონაცემების მოპოვების საშუალებები და მასალის ბუნება ადეკვატურია მის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მან უნდა განიხილოს ის შეზღუდვები კვლევასა და მონაცემების შეგროვებაში, რომლებიც დაკავშირებულია ამ მეთოდების გამოყენებასთან.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევა შესაძლოა იყოს ექსპერიმენტული. ექსპერიმენტული სახის ნაშრომებისათვის აუცილებელია ექსპერიმენტული ნაწილის დართვა. მასში უნდა იქნას აღწერილი ექსპერიმენტში გამოყენებული მასალები, მეთოდები და პროცედურები იმდენად დეტალურად, რომ სხვა ექსპერიმენტატორს მისი განმეორების საშუალება ჰქონდეს. ახალი ექსპერიმენტული პროცედურები უნდა იყოს დეტალურად აღწერილი, ხოლო ის ექსპერიმენტი, რომელიც უკვე ერთხელ მაინც იყო აღწერილი რაიმე სახის ლიტერატურაში, მისი დეტალური აღწერა არ არის საჭირო, როგორც წესი, იგი მიეთითება ლიტერატურის სახით.

4.4.კვლების შედეგები და მათი განხილვა

კვლევის შედეგები და მათი განხილვა უნდა მოიცავდეს ავტორის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას ჩატარებული კვლევის ანალიზს, კვლევის (მათ შორის, ექსპერიმენტის) შედეგების განზოგადებას, ახალი სამეცნიერო მიგნებების ჩვენებას. შედეგების წარდგენის სტილი მეტწილად დამოკიდებულია კვლევის ტიპსა და გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე.

შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი ლოგიკურად, გარკვეული სისტემის მიხედვით; სასურველია, რომ იმეორებდეს კვლევის დიზაინის და მეთოდების თავში მეთოდების განხილვის თანმიმდევრობას.

იგი გარდა ტექსტური ნაწილისა, ასევე შეიძლება მოიცავდეს ცხრილებს, ნახაზებს, გრაფიკებს, ფოტოებს და სხვა. დისერტანტმა უნდა აღწეროს ამ თავში წარმოდგენილი თითოეული ცხრილი, ნახაზი, გრაფიკი და ფოტო. რაოდენობრივ კვლევაში მნიშვნელობის მქონედ უნდა გამოცხადდეს მხოლოდ ის მიღებული სიდიდეები, რომელთა მნიშვნელობა სტატისტიკურად არის დადასტურებული. ამასთან, დაუშვებელია ერთი და იგივე შედეგის ორი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა („ინფორმაციული ტავტოლოგია“). ძირითადი ტექსტიდან უნდა იყოს მიმართება ცხრილებზე, ნახაზებზე, გრაფიკებზე, ფოტოებზე ან მათში მოცემულ მონაცემებზე. რეკომენდებულია ვრცელი ცხრილებისა და თვალსაჩინოებების გადატანა დანართში.

ასევე, დისერტანტმა უნდა განიხილოს (აღწეროს და განმარტოს) მიღებული შედეგების მნიშვნელობა. შედეგების განხილვის ნაწილის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება

იგი წარმოადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ქვეთავების მიხედვით. შედეგების განხილვა, როგორც წესი, უნდა პასუხობდეს შემდეგ საკითხებს:

- რას მიანიშნებს სადისერტაციო ნაშრომში მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლენილი კავშირები და კანონზომიერებანი?
- ეთანხმება თუ არა მიღებული შედეგები დისერტანტის მიერ ლიტერატურის მიმოხილვაში გამოთქმულ თეორიულ არგუმენტებს?
- ადასტურებს თუ უარყოფს დისერტანტის მიერ მიღებული შედეგები აქამდე ჩატარებული კვლევის შედეგებს?
- წარმოადგენს თუ არა დისერტანტის მიერ მიღებული შედეგები წინ გადადგმულ ნაბიჯს ამ პრობლემის კვლევაში?
- როგორ შეიძლება მიღებული შედეგების გამოყენება?
- რის შესწავლა ვერ მოხერხდა და რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა ამას მიღებულ შედეგებზე?
- რა შეიძლება იყოს ამ კვლევის განვითარების შემდეგი ეტაპი?

ამ და სხვა საკითხების განხილვა უნდა იყოს მაქსიმალურად არგუმენტირებული და დასაბუთებული შესაბამისი ლიტერატურული მონაცემებით.

4.5. დასკვნა

ამ თავში მოკლედ და მაქსიმალურად ინფორმაციულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ის ძირითადი შედეგები, რომელიც მიღებულია სადისერტაციო ნაშრომში. დისერტანტი აჯამებს თავისი კვლევის შედეგებს და შეძლებისდაგვარად კიდევ ერთხელ აჩვენებს მის მიერ შექმნილი ცოდნის რელევანტურობას, როგორც არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კონტექსტში, ისე მომავალი კვლევებისთვის მსგავს ან მომიჯნავე საკითხებზე. დასკვნით ნაწილში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტს ასევე შეუძლია ჩამოაყალიბოს მის მიერ შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა/რეკომენდაციები ან/და შემდგომი კვლევის სამომავლო პერსპექტივა.

4.6. ბიბლიოგრაფია

სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული წყაროები (ბეჭდვითი და ელექტრონული) მითითებული უნდა იყოს ანბანის მიხედვით, დანომვრის გარეშე. პირველ რიგში მითითებული უნდა იყოს ქართული, შემდეგ კი ლათინური ანბანით დაწერილი წყაროები.

გამოყენებული ლიტერატურის სწორად ციტირებისა და დამოწმებისათვის დოქტორანტმა უნდა იხელმძღვანელოს ჩიკაგოს სტილის მიხედვით.

4.7.დანართი

დანართში შეიძლება გადატანილ იქნას პირველადი მონაცემების ცხრილები, კითხვარები და სხვა ვრცელი მასალა, რომელთა მოყვანა ძირითად ტექსტში მიზანშეწონილი არ არის.